


# დავიცვათ ბავშვები სექსუალური ძალადობისგან

საკითხავი მასალა მშობლებისა  
და აღზრდელებისათვის



## დავიცვათ ბავშვები სექსუალური ძალადობისგან

მოგზადებულია საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის და მედიცინის განვითარების ფონდის მიერ OAK Foundation მიერ დაფინანსებული პროექტის: “ერთად ვიშუშაოთ ბავშვთა მიმართ ძალადობის შესაჩერებლად: თანამშრომლობა კავკასიის სამ ქვეყანას შორის” ფარგლებში. პუბლიკაციაში გამოხატული მოსაზრებანი სრულიად არაა აუცილებელი ასახავდეს ამ ფონდის ოფიციალურ თვალსაზრისს.



თბილისი  
2012 წელი



## ეს პროუზრა განკუთვნილია მათთვის, ვინც

- ისურვებდა, რომ მის ბავშვს მშვიდ და უსაფრთხო გარემოში ეცხოვრა;
- არ ისურვებდა, რომ მისი ბავშვი სექსუალური ძალადობის მსხვერპლი გამხდარიყო;
- მზადაა, რომ მიაღწიოს ბავშვზე მოძალადის დასჯას;
- მიიჩნევს, რომ ძალადობისგან ბავშვების დაცვა მისი ადამიანური და მოქალაქეობრივი ვალდებულებაა;
- გრძობს, რომ ვერ იქნება გულგრილი ბავშვებზე მოძალადეთა მიმართ.

## ეს პროუზრა გვიკარნახებს

- როგორ ამოვიცნოთ სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ბავშვი.
- როგორ მოვექცეთ ბავშვს, თუკი გავიგებთ ან ეჭვი გავგიჟნდება, რომ ის სექსუალური ძალადობის მსხვერპლი გახდა.
- როგორ დავიცვათ ბავშვი სექსუალური ძალადობისგან.



## რა არის ბავშვზე სემსუალური ძალადობა

ბავშვის გამოყენება სექსუალური მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად და/ან გამორჩენის მიზნით, რაც მოიცავს: სექსუალური მეტყველებით თუ შენიშვნებით დევნას, სექსუალურ გარყვნას, ეროტიულ აღერსს, ბავშვისთვის პორნოგრაფიული სურათების გადაღებას, სექსუალური შინაარსის ფილმების ყურების ან პორნოგრაფიული ჟურნალების დათვალიერების ნებართვას ან ხელშეწყობას, გაუპატიურებას ან გაუპატიურების მცდელობას, სასქესო ორგანოების დემონსტრირებას, ღია საუბრებს სექსზე ბავშვის შოკირების ან მისი ცნობისმოყვარეობის გადავიძების მიზნით, სისხლის აღრევას (ინცესტი), სხეულით ვაჭრობის იძულებას და სხვა.

**სექსუალური ძალადობა, შედეგების მიხედვით, ბავშვისთვის ყველაზე მძიმე ფსიქოლოგიური ტრავმაა.**

ბავშვს შიშის, შფოთვისა, უიმედობის, დაღატის, მარტოობის, უმწეობის, საკუთარი ბრალეულობის, სირცხვილის, ბავშვობის დაკარგვის უმძიმესი განცდები სტანჯავს, რომლებიც ხშირად ზრდასრულ ცხოვრებაშიც გაჰყვება.





## მოძალადე

სამწუხაროდ, მოძალადე ხშირად ბავშვისთვის კარგად ნაცნობი ადამიანია, რომელსაც ბავშვი იცნობს და ენდობა. ეს შეიძლება იყოს მეზობელი, ნათესავი, ოჯახის წევრი, ოჯახის მეგობარი, ნაცნობი...

ბავშვთან სექსუალური კონტაქტის დამყარებას ცდილობენ პედოფილები, ანუ სექსუალური გადახრების მქონე პირები.

მოძალადეთა შორის არიან ახალგაზრდები, რომლებსაც არ შესწევთ სრულყოფილი სექსუალური კონტაქტის უნარი.

არიან მოხუცებიც, იზოლირებული, მარტოსეულ ადამიანები, რომლებსაც ნორმალური სქესობრივი აქტივობისთვის პირობები არ აქვთ.




არიან ასოციალური პიროვნებებიც, რომლებსაც ზრდასრულ ადამიანებთან მათთვის დამაკმაყოფილებელი ურთიერთობების დამყარება არ შეუძლიათ.

მოძალადეთა შორის ის ადამიანებიც არიან, რომლებიც ბავშვობაში თვითონ იყვნენ სექსუალური ძალადობის მსხვერპლი.

მოძალადე შეიძლება იყოს (თუმცა, აუცილებელი არაა) ადამიანი, რომელიც მთლიანად ან ნაწილობრივ შეესაბამება შემდეგ კრიტერიუმებს:

- არაბუნებრივი ლტოლვა აქვს, ბევრი დრო გაატაროს ბავშვებთან;
- წარსულში ფსიქოლოგიური პრობლემები ჰქონდა, რომლებიც, შესაძლოა, სექსუალურ ძალადობასთან იყოს დაკავშირებული;
- ბავშვობაში ძალადობის მსხვერპლი იყო;
- მოიხმარს პორნოგრაფიულ მასალას.
- ნარკოტიკის ან ალკოჰოლის მომხმარებელია;



მოძალადე ხშირად სხვათაგან არაფრით გამოირჩევა.

ხშირად მოძალადე ისეთი ადამიანია, რომელიც გარემომცველთა წრეში კარგი რეპუტაციით სარგებლობს და არავითარ ეჭვს არ იწვევს.

მოძალადე შეიძლება იყოს ქალიც და მამაკაციც, ბავშვიც და მოზრდილიც.

უმეტესად მოძალადე ბავშვისთვის კარგად ნაცნობი ადამიანია, რომელსაც ის ენდობა.

## მსხვერპლი


ბავშვს მოზრდილის ფიზიკურ უპირატესობასთან გამკლავება, ძალადობისთვის წინააღმდეგობის გაწევა და მოვლენათა შეჩერება არ შეუძლია, რადგან ძალაუფლება მოძალადის ხელშია.

ხშირად ბავშვი მაშინაც არ ეწინააღმდეგება მოძალადეს, როცა საამისოდ საჭირო პირობები არსებობს (მაგალითად, სხვა ადამიანების სიახლოვე, გაქცევის საშუალება). ეს ხშირად მომდინარეობს ე.წ. "კარგი აღზრდისგან" – ბავშვებს ასწავლიან, რომ უფროსებს, განსაკუთრებით პატივსაცემ, ავტორიტეტის მქონე ადამიანებს (მასწავლებლები, ბიძია და სხვა) "ყველაფერი დაუჯერონ".

ბავშვი თავს იდნაშაულებს მომხდარის გამო და მკაცრი სასჯელის შიშით, იძულებულია დადუმდეს. ბავშვში დანაშაულის გრძნობის გამოწვევას ხშირად მოძალადე თავად ცდილობს. ის ჩააგონებს ბავშვს, რომ მომხდარის თანამონაწილეა. გოგონას, მაგალითად, შეიძლება უთხრან, რომ მან თვითონ "გამოიწვია" მთელი ეს სიტუაცია, ხოლო მომხდარი - "ჩვენი პატარა საიდუმლოა" და ა. შ.


სიტუაცია განსაკუთრებით დრამატულია, როცა მოძალადე არის მამა, რომელიც ბავშვს იმის წარმოდგენით აშინებს, თუ რა შეიძლება მოხდეს, "ეს რომ დედამ გაიგოს".

დანაშაულის ძლიერი გრძნობა შეიძლება გამოიწვიოს კონტაქტის დროს განცდილმა სიამოვნებამ. ბავშვი, რომელსაც არ აქვს ცოდნა ფიზიოლოგიის ძირითადი პრინციპების შესახებ, ვერ აცნობიერებს, რომ მგრძნობიარე ზონების გაღიზიანებაზე სხეულის რეაქცია ძირითადად ავტომატურია, და ის თავს მომხდარის გამო მთავარ დამნაშავედ მიიჩნევს.



სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ბავშვები, მათ შორის ყველაზე პატარებიც, სინამდვილეში ვერ ხვდებიან, რა ხდება რეალურად, რცხვენიათ ამის შესახებ მოყოლა. თანდათან, როცა ბავშვი იზრდება, ის ნათლად აცნობიერებს, - რაც მის მიმართ ხორციელდებოდა - დანაშაულია. ამასთან, ის ხვდება: მოძალადის "მხილებაშ" შეიძლება მთელ ოჯახს შეუქმნას საფრთხე და სრულიად გაუთვალისწინებელი შედეგები გამოიწვიოს.

არის სხვა მიზეზებიც, რაც ბავშვს მორჩილებას და სიმართლის დამალვას აიძულებს, მაგალითად, შიში, რომ არ დაუჯერებენ და თვითონ მას დასჯიან. ზოგჯერ ბავშვი ფიქრობს, რომ გარემომცველებმა ისედაც ყველაფერი იციან. ხშირად ბავშვი იცავს მოძალადეს, ეშინია, რომ მას დააპატიმრებენ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მოძალადე ბავშვის ახლობელი ადამიანია. ოჯახში მომხდარი სექსუალური ძალადობის შემთხვევაში მშობლები ხშირად თვლიან, რომ ეს "ოჯახის საქმეა" და სხვას არ ეხება.



ძალადობის მსხვერპლი შეიძლება შეიძლება გახდეს ნებისმიერი ასაკის გოგონა და ბიჭი.

სექსუალური ძალადობის მსხვერპლი შეიძლება გახდეს ნებისმიერი ბავშვი!

## სემსუალურ აქტივობაზე გავშვის დაყოლიების სტადიები

მოძალადე, როგორც წესი, ბავშვს სემსუალურ ქმედებებში თანამონაწილეობისაკენ უბიძგებს საჩუქრების დახმარებით, განსაკუთრებით აღერსიანი და ყურადღებიანი ქცევით. შემდეგ ის მოტყუების, დაშინების, შანტაჟის, მოსყიდვის გზით ბავშვისგან მათი “განსაკუთრებული ურთიერთობის” საიდუმლოდ შენახვას მოითხოვს.

**გასაიდუმლოება** – ბავშვისგან მოტყუების, შანტაჟის, მოსყიდვის გზით მოძალადე ითხოვს მისგან “განსაკუთრებული” ურთიერთობის საიდუმლოდ შენახვას;

**უძლურება** – ბავშვს არ შეუძლია მოვლენათა შეჩერება, რადგან ძალაუფლება მოძალადის ხელშია;

**შეგუება** – ბავშვი ვერ პოულობს გამოსავალს და ცდილობს ფსიქოლოგიურად შეეგუოს სიტუაციას;

**ალიარების მცდელობა** – ბავშვი ცდილობს ახლობელ უფროსს უთხრას მომხდარის შესახებ, მაგრამ მისი არ სჯერათ; ხშირად ალიარება შემთხვევით ხდება: ან მოძალადე მიდის და ბავშვი თავს უსაფრთხოდ გრძნობს, ან ინიციატორებად ბავშვის მეგობრის მშობლები გვევლინებიან;

**უკანდახვევა** – ალიარების შემდეგ ბავშვი მოსწრდილების ან სხვა გარემოებების გაგლენით უარყოფს თავისივე ნაქვამს.



## სემსუაღური ძალადობის გავლენა გავზვზა

ზოგადად, სექსუაღური ძალადობა უშუაღოდ არღვევს „სხეუღის საზღვრებს“. ამიტომ მისი შეღვებები „სხეუღის ქცევაში“ ჩანს.

ზოგიერთი ბავშვი საკუთარ სხეულს განსაკუთრებულად მაღავს და ნებისმიერ კონტაქტს გაურბის;

ზოგი – პირიქით, საკუთარი სხეუღის დემონსტრირებას ღიად ცდიღობს და ყვეღას „სთავაზობს“ საკუთარ სხეულს, სხეუღის ნორმაღურ საზღვრებს კარგავს, ფიზიკური სიახღოვისა და ღისტანციის სოციაღურად მიღებული ნორმების ათვისება არ შეუძღია.

**ბავშვები და მოზარღები სექსუაღურ ძალადობაზე რეაქციას სხვაღასხვა ასაკში სხვაღასხვაგვარად ავღენენ.**

### ბავშვები 3 წღამღე

შიშები, გრძნობების ქაღსი, ძიღის დარღვევა, მაღის დაკარგვა, უცხო ადამიანების მიმართ შიში, სექსუაღური თამაშები.

### სკოღამღეღები

შფოთვა, გრძნობების ქაღსი, ბრადეუღობა, სირცხვიღი, ზიზღი, უმწეობა, საკუთარი „გაფუჭებუღობის“ განცღდა; ქცევის დარღვევევი - რეგრესი, აგრესია, მასტურბაცია, გაუცხოება, სექსუაღური თამაშები.



## უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვები

უფროსების მიმართ წინააღმდეგობრივი გრძნობები, ოჯახური როლების განსაზღვრის სირთულეები, შიში, სირცხვილის, ზიზღის გრძნობები, საკუთარი "გაფუჭებულობის" შეგრძნება, სამყაროს მიმართ უნდობლობა; ქცევაში შეინიშნება განმარტობა, აგრესია, დუმილი ან მოულოდნელი ალაპარაკება, ძილის დარღვევა, "ზინძური სხეულის" შეგრძნება, სექსუალური ქცევები სხვა ბავშვებთან.

## მოზარდები

დებრესიული მდგომარეობა, დანაკარგის განცდა; ქცევაში - იზოლაცია, სხვა ბავშვებით მანიპულირება სექსუალური სიამოვნების მიღების მიზნით, წინააღმდეგობრივი ქცევა.

ყველაფერი, რასაც ბავშვი მომხდართან დაკავშირებით განიცდის და გამოხატავს, – მისი სულისა და სხეულის ნორმალური რეაქციაა განსაკუთრებულად მძიმე ფსიქოლოგიური ტრავმის პასუხად.




## ბავშვის გუნებრივი საქსუალური ქცევა

ზოგჯერ ძნელია განვასხვავოთ ბუნებრივი და ჯანსაღი ქცევა ისეთი ქცევისაგან, რომელიც სახიფათო სიგნალს წარმოადგენს და ბავშვის მიერ განცდილი ტრავმის შესახებ გვამცნობს. საქსუალური ძალადობის დადგენა-შეფასების პროცესში აუცილებელია, შეგვეძლოს ერთმანეთისგან განვასხვავოთ ბავშვის ბუნებრივი და პრობლემური საქსუალური ქცევები.


**ბუნებრივი საქსუალური ქცევა** – გამოკვლევაზე, ინფორმაციის შეგროვებაზე მიმართული ქცევა, როცა ბავშვები ერთმანეთის სხეულებს იკვლევენ, ათვალიერებენ, ეხებიან და/ან სქესის როლებს და ქცევებს ეცნობიან.

**ბუნებრივი, ჯანსაღი საქსუალური ქცევისას:**

- ბავშვების მონაწილეობა ყოველთვის ნებაყოფლობითია, და ამდენად, სასიხარულო და სასიამოვნოა. ის არ არის დაკავშირებული მოსყიდვასთან, დაშინებასთან, შანტაჟთან.
- თამაშებსა და გამოკვლევებში მონაწილეობენ ერთი და იმავე ასაკის, განვითარების დონის მქონე ბავშვები.
- ბავშვები, რომლებიც საქსუალურ გამოკვლევებს მიმართავენ, ჩვეულებრივ დიდ დროს ატარებენ ერთად (ისინი შეიძლება იყვნენ მეგობრები, ძმები, დები), ერთად თამაშობენ სხვადასხვა თამაშებს და ახორციელებენ სხვადასხვა გამოკვლევებს მათ შორის სქესისაც;








- ეს ორმხრივი, ერთობლივი გამოკვლევაა, რომლის დროსაც მონაწილეები როლებს ცვლიან;
- ბავშვები არ ფიქსირდებიან ერთ თამაშზე. სექსუალური თამაშში თამაშების ერთ-ერთი და არა ერთადერთი ვარიანტია. ამასთან, შეზღუდულია დროში.
- თუ მოზრდილი შეუსწრებს ბავშვებს სექსუალური თამაშის დროს, ბავშვები გამოხატავენ სირცხვილსა და შეწუხებას.
- თუ მოზრდილი აუკრძალავს ბავშვებს ამგვარ თამაშს, ეს აკრძალვა მოქმედებს და ბავშვები სექსუალურ ქმედებებს წვევებენ. ეს იმიტომ ხდება, რომ ბუნებრივი, ჯანსაღი სექსუალური ქცევისას ტრავმის გათამაშება არ ხდება. ♡
- არ შეინიშნება აგრესია. ♡
- სექსუალურ თამაშებში მონაწილე ბავშვის განმარტებები ლოგიკურია. ბავშვი ცდილობს ახსნას, რას და რატომ აკეთებდა (მაგ., “ექიმობანას” ვთამაშობთ). ♡

აღსანიშნავია, რომ სექსუალური საკითხებისადმი ბავშვების ინტერესი არაერთმნიშვნელოვანი მოვლენაა და განსაკუთრებული სიფრთხილე უნდა გამოვიჩინოთ როგორც ამგვარი ქცევის შეფასებისას, ისე ბავშვთან ამ საკითხზე საუბრისას.




## როლის დავაჰვდით

სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისათვის დამახასიათებელი სპეციფიური, ერთნაირი ნიშნები არ არსებობს. ყოველ კონკრეტულ შემთხვევას ინდივიდუალური მიდგომა სჭირდება.

საყურადღებოა, რომ ყველა ქცევითი გამოვლინება საშინელი ტრავმის შესახებ „შეტყობინების“ საშუალებაა.


**ჩვენ ყურადღება უნდა მივაქციო ბავშვის ქცევაში საფრთხის ამ სიგნალებს და ვიზრუნოთ მის პროფესიონალურ დახმარებაზე, თუ ბავშვი:**

- ხშირად ჰკიდებს ხელს თავის გენიტალიებს;
- აგრესიულად, გაღიზიანებულად ან ძალიან სევდიანად თამაშობს მამაკაცის/ქალის როლებს;
- თავის ან საპირისპირო სქესს ვერ იტანს;
- თავისი სხეული არ უყვარს; ხშირად ამბობს, რომ მისი სხეული უშნოა ან ბინძურია;
- დაუინებოთ ინტერესდება სექსუალური ქმედებებით, მალულად ცდილობს შეეხოს სასქესო ორგანოებს, ინტიმურ ადგილებს; მოითხოვს, რომ სხვები მას შეეხონ. „სექსუალურად უცნაურად“ იქცევა – „აცდუნებს“ მოზრდილს;
- ითხოვს, რომ ადამიანებმა ტანსაცმელი მთლიანად გაიხადონ, ძალდატანებით ხდის სხვებს.
- ასაკისათვის შეუფერებელი სექსუალური ცოდნა აქვს; უცნობ ადამიანებს პირდაპირ უსვამს სხვადასხვა სექსუალური შინაარსის შეკითხვებს;
- ჩაცმაზე უარს ამბობს. ტანზე მალულად იხდის. უარს ამბობს, მარტო დატოვოს ადამიანები სააბაზანოში/ტუალეტში;
- სხვა ადამიანების თანდასწრებით გახდა (ექიმის, თანატოლების, ფიზკულტურის გაკვეთილზე და ა.შ.) ეშინია;
- საჯაროდ, გამომწვევად ეწევა მასტურბაციას, ითრევს ამაში სხვა ბავშვებს;
- სხვა ბავშვებთან, ცხოველებთან ან სათამაშოებთან სქესობრივი აქტის და/ან ორალური სექსის იმიტაციას ახდენს;
- ეშინია გარკვეული სპეციფიკური ადგილების, როგორცაა სააბაზანო ან საწოლი;
- დარღვეულია ძილი – ეშინია დაძინება, სიზმარში კოშმარებს ხედავს, ძალიან მოუსვენრად ძინავს, ძილში წრიალებს, ტირის;



- პასიურია, შებოჭილი. არ არის სპონტანური. მაგ., ფიზიკულტურის გაკვეთილებზე ზის სწორად, გამართული, დაძაბული, ფეხებში ტყუპებული, მაშინ როცა სხვა ბავშვები სპონტანურად დარბიან, ყვირიან. უცნაურად მოძრაობს, თითქოს ცდილობს ფეხები ერთმანეთს არ დააშოროს;
- განსაკუთრებულ მოუსვენრობას გრძნობს და აშკარად ეშინია, როცა სთხოვენ დაწვეს ზურგზე;
- ეშინია, გაურბის შეხებას, განსაკუთრებით მოზრდილი ადამიანებისაგან, შეხებისას თითქოს ქვავდება. გადაადგილებისას მთელი ტანით მოჭიმულია, დაძაბული კალთაში ჩაჯდომისას თავს უხერხულად გრძნობს; როცა ეძახიან, მოდის და ჯდება, თუმცა დაძაბულია.

სექსუალური ძალადობის მსხვერპლ ბავშვთაგან ყველას როდი ახასიათებს ყველა მოცემული ნიშანი. ზოგიერთ ბავშვს ქცევის ჩამოთვლილი ნიშნებიდან მხოლოდ ერთი ან რამდენიმე შეიძლება შევამჩნიოთ. ერთი ცალკე აღებული ნიშანი არ არის საკმარისი იმისათვის, რომ გავაკეთოთ დასკვნა სექსუალური ძალადობის შესახებ.




## **თუ თქვენი ბავშვი სექსუალური ძალადობის მსხვერპლი გახდა**

ზოგჯერ, როცა ბავშვი მის მიმართ განხორციელებული სექსუალური ძალადობის შესახებ ჰყვება, მოზრდილი ადამიანი არ უჯერებს მას და ეუბნება: “შენ ეს ყველაფერი მოიგონე!” გამოკვლევების თანახმად, ბავშვი იშვიათად “იგონებს” მსგავს ისტორიებს.

ბავშვის მიერ ტრავმასთან გამკლავების ეფექტურობას მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს მოზრდილის რეაქცია ბავშვის მონათხრობზე და მოზრდილის შემდგომი ქცევა ბავშვთან. ამიტომაც იმ მომენტში, როცა ბავშვი განხორციელებული ძალადობის შესახებ რაიმეს გვიყვება, ჩვენი მხრიდან დაუშვებელია პანიკა, ბავშვის ნათქვამში დაეჭვება, ბავშვის დასჯა.

- იყავით მგრძობიარე და ამავე დროს შეინარჩუნეთ სიმშვიდე. თუ თქვენ ძალზე ემოციურ რეაგირებას მოახდენთ – შეშინდებით ან გაბრაზდებით, ბავშვი აღარაფერს მოგიყვებათ. დაარწმუნეთ ბავშვი, რომ ის კარგად მოიქცა, როცა ამის შესახებ გიაშობთ;
- ნუ ელოდებით, რომ ის ამას მალე დაივიწყებს, მაგრამ ნურც თქვენ შეახსენებთ დაუსრულებლად მომხდარის შესახებ;
- ყურადღებით მოისმინეთ, რის მოყოლა სურს ბავშვს, მაგრამ ნუ ჩაეძიებით. არ იჩქაროთ გამოკვლევის ჩატარება ან გამოკითხვა. იყავით კარგი და ყურადღებიანი მსმენელი იმის მიმართ, რისი მოყოლაც უნდა და შეუძლია ბავშვს მოცემული მომენტისათვის. ხშირად ეს ბავშვის დიდი ხნის საიდუმლოა, რომელსაც ის დღეების, თვეების ან წლების განმავლობაშიც კი მაღავედა. მოკბნეთ მყუდრო ადგილი საუბრისათვის. ხელი შეუწყვეთ ბავშვს, გამოსხატოს გრძობები, მაგრამ არ მოუწყოთ დაკითხვა.
- არ გამოამჟღავნოთ დაეჭვება - ბავშვები ასეთ ისტორიებს არ იგონებენ. დაუჯერეთ ბავშვს. არ გამოთქვათ ეჭვები ბავშვის მონათხრობთან დაკავშირებით. ნუ უარყოფთ მოსმენილს, რაც არ უნდა ძნელი დასაჯერებელი იყოს ის. ბავშვები იშვიათად თხზავენ ისტორიებს ძალადობის შესახებ, განსაკუთრებით სექსუალური ძალადობის შესახებ. მათ შეუძლიათ დიდი ხნის განმავლობაში შეინახონ საიდუმლო, რადგან შესაძლოა, მათ ემუქრებოდნენ ან ეუბნებოდნენ, რომ მომხდარი მათი ბრალია.

- არავითარ შემთხვევაში არ დაადანაშაულოთ ბავშვი (ისეთი კითხვები, როგორიცაა "რატომ არ გაუძალიანდი?", "რატომ გააკეთებინე ეს?", - ბავშვს დამატებით ტკივილს აყენებს);



- არ უსაყვედუროთ ბავშვს იმის გამო, რომ აქამდე არავის უამბო მომხდარის შესახებ.
- დაარწმუნეთ ბავშვი, რომ მომხდარში ის არ არის დამნაშავე და ნათლად განუმარტეთ, რომ მომხდარზე პასუხისმგებელი მხოლოდ და მხოლოდ მოზრდილი ადამიანია;
- გაიაზრეთ, რომ ბავშვი გრძნობების ქაოსს განიცდის. ხშირად მოძალადე ბავშვისთვის ახლობელი ადამიანია, ოჯახის წევრი, და მაშინაც კი, როცა ბავშვი ძლიერ ნეგატიურ გრძნობებს განიცდის, მას ასევე უყვარს ის ადამიანი და მისი წყენინების ეშინია.
- აუხსენით ბავშვს, რას მოიმოქმედებთ. შესაძლო გადატანილი ან მიმდინარე ძალადობის შესახებ ეჭვი საკმარისი მიზეზია იმისათვის, რომ აცნობოთ ამის შესახებ ბავშვთა უფლებების დაცვის სამსახურს. უთხარით ბავშვს, რომ საჭირო იქნება დაელაპარაკოთ სხვა დეიდას ან ბიძიას, რომლებიც უკვე დაეხმარნენ სხვა ისეთ ბავშვებს, როგორც ისაა.
- თუ ბავშვი მომხდარის შემდეგ მაშინვე გიყვებათ გადატანილი ძალადობის შესახებ, არ დაბანოთ ბავშვი და არ იჩქაროთ მისთვის ტანსაცმლის გამოცვლა – ეს შეიძლება მნიშვნელოვანი სამხილი იყოს.
- პატივი ეცით ბავშვის კონფიდენციალობას. არ მოუყვეთ სხვა ადამიანებს, რომ ლებისთვისაც ამის ცოდნა აუცილებელი არაა. თუ ბავშვმა თქვენ ამოგირჩიათ თავის სანდო პირად, იყავით მასთან ერთად, როცა მას მოუხდება სხვა ადამიანებთან ამაზე საუბარი. მხარი დაუჭირეთ, დაეხმარეთ, რომ თავი უფრო უსაფრთხოდ იგრძნოს.
- უთხარით ბავშვს, რომ ის მარტო არ არის და თქვენ ყველაფერს გააკეთებთ იმისათვის, რომ ძალადობა აღარ განმეორდეს.
- მზად იყავით იმისათვის, რომ თქვენი დახმარება, მოთმინება და ყურადღება ბავშვს ხანგრძლივი დროის განმავლობაში დასჭირდება.

როგორც წესი, სექსუალური ძალადობა ბავშვის შემდგომ განვითარებასა და ქცევაზე აისახება.

ძალადობა გადატანილ ბავშვს განსაკუთრებული თანადგომა სჭირდება. ჩვენ მას ძალადობა უნდა ავარიდოთ, უსაფრთხო გარემო უნდა შევუქმნათ.

არ დაეუშვათ, რომ ბავშვს ჩვენი ქცევით და დამოკიდებულებით ახალ მოძალადეებზე მოვეყვდინოთ.



## რის ბაკითება შეგვიძლია გავშვისთვის, რომელმაც სემსუალური ძალადობა გადაიტანა

### ბავშვი


საკუთარ თავს “გაფუჭებულ ნივთად” აღიქვამს. ეს კი სამომავლოდ ზრდის რისკს, რომ ის კვლავ სექსუალური ძალადობის მსხვერპლი გახდება. უფრო მეტიც, ზოგიერთი მამაკაცი ასეთ ბავშვს “ადვილად მოსაპოვებლად” თვლის, რადგან “მას ხომ აღარაფერი დაუშავდება”.

თავს იდნაშაულებს იმაში, რომ მსხვერპლად იქცა. მას ჰგონია, რომ როგორღაც “ეს დაიმსახურა” ან ამის აღკვეთა შეუძლო. ის ფიქრობს, რომ “მაცდუნებელი” გარკვეულწილად თვითონაა.

ინცესტის შემთხვევაში თავს იდნაშაულებს, რომ სექსუალური ძალადობის შესახებ გაამხილა, რასაც ოჯახის დანგრევა მოჰყვა. ოჯახის წევრები შეიძლება ბავშვს აღნაშაულებდნენ: “ნახე, რა ჩაიდინე, როგორ მოექცევი შენს ოჯახს/მამას”.

შიშობს, რომ შეიძლება ძალადობა განმეორდეს. მას შეიძლება ძილის პრობლემები და ღამის კოშმარები გაუჩნდეს. ბავშვი-მსხვერპლი ხშირად დეპრესიულ მდგომარეობაშია.

სექსუალური ქცევის ინიცირებას ახდენს (ხშირად განურჩევლის), რათა დაამტკიცოს, რომ ის სასურველი პარტნიორია ზოგადად, ბავშვი სექსუალურად იქცევა, რადგან ეს მისთვის ცნობილი ურთიერთობის ერთადერთი ტიპია და სიყვარულის გამოხატვის ერთადერთი საშუალებაა.





უნდა გვახსოვდეს, რომ მსხვერპლი ბავშვია და არა ზრდასრული ადამიანი ან “გაფუჭებული ნივთი”. ყურადღებით უნდა ვიყოთ, როცა ბავშვი იმ უფროსების გარემოცვაშია, რომლებმაც მისი ისტორია იციან.

უნდა შევახსენოთ ბავშვს, რომ სექსუალური ძალადობის დროს მოძალადე ერთადერთი დამნაშავეა. ბავშვს არ შეუძლია გადაწყვეტილების მიღება სექსუალურ აქტივობაში ჩართვაზე. ის იმიტომ “მონაწილეობს”, რომ ინიციატორი მისი მშობელი, ოჯახის წევრი ან ის ადამიანია, ვისაც ენდობა.

მუდმივად უნდა დავარწმუნოთ ბავშვი, რომ ის სწორედ მოიქცა, როცა სექსუალური ძალადობის შესახებ გაამხილა. ჩვენ ასევე უნდა გავამახვილოთ ყურადღება იმაზე, რომ ბავშვი შეუძლებელია პასუხისმგებელი იყოს მოზრდილთან სექსუალურ ურთიერთობაზე ან ოჯახის დანგრევაზე.


ბავშვი იმისთვის უნდა განვაწყობთ, რომ თავის შიშებზე გვესაუბროს. ისეთი გარემო უნდა შევქმნათ, სადაც ბავშვი თავისი დადებითი და უარყოფითი გრძნობების გამოხატვას შეძლებს და სადაც მას ეცოდინება, რომ მას დაეხმარებიან.

უნდა შევთავაზოთ ბავშვს სოციალური აქტივობის სხვადასხვა სახე, სადაც ორივე სქესის წარმომადგენელი მონაწილეობს. ბავშვმა სხვა ადამიანებთან სექსუალური აქცენტირებების გარეშე ურთიერთობა უნდა ისწავლოს.



## როგორ დავიცვათ ბავშვი

- აუცილებლად უნდა ვისწავლოთ ბავშვის მოსმენა. დაუშვებელია, ყურადღება არ მივაქციოთ იმას, რასაც ბავშვი გვიყვება. თუ ბავშვი წუხს ან გეუბნებათ, რომ ვინმესთან დარჩენა არ სურს, - უყურადღებოდ არ დატოვოთ ეს ფაქტი, თუნდაც საუბარი თქვენთვის ახლოებულ ადამიანზე იყოს.
- ყურადღებით უნდა მოვუხმინოთ, თუ რას გვიყვება ბავშვი მოზრდილებთან მისი თამაშების და "საიდუმლოებების" შესახებ.
- ასწავლეთ ბავშვს, რომ მას უფლება აქვს უთხრას "არა" ნებისმიერ ადამიანს, თუკი მასთან თავს უსაფრთხოდ არ იგრძნობს. ბევრ ბავშვს ჰგონია, რომ უფროსებისთვის უარის თქმა არ შეიძლება და რომ მათ ამისთვის დასჯიან. ბავშვმა უნდა იცოდეს, რომ მან "არა" უნდა უთხრას ნებისმიერ ადამიანს, ვინც მას თავისი მოთხოვნებით ან შეთავაზებებით აფრთხობს;
- ასწავლეთ ბავშვს, რომ ყოველთვის გითხრათ, - სად მიდის, როდისთვის აპირებს დაბრუნებას და დაგირეკოთ, თუკი გეგმები მოულოდნელად შეცვლება;
- შეეცადეთ თვითონ გამოიყვანოთ ბავშვი საბავშვო ბაღიდან ან სკოლიდან. თუ ბავშვს სხვა ვინმე მიაკითხავს, წინასწარ გააფრთხილეთ ამის შესახებ აღმზრდელი ან კლასის დამრიგებელი;
- ასწავლეთ ბავშვს, რომ არასდროს ჩაუჯდეს მანქანაში და არასდროს გაჰყვეს უცხო ადამიანს;



- ასწავლეთ ბავშვს მისი სახლის მისამართი, ტელეფონის ნომერი, ასევე დახმარების სამსახურების ტელეფონის ნომრები;
- ბავშვთან ერთად განსაზღვრეთ უსაფრთხო და სახიფათო საიდუმლოები. გააგებინეთ ბავშვს, რომ უსაფრთხო საიდუმლოს შენახვა, როგორცაა სიურპრიზი დაბადების დღეზე, დღესასწაულის აღნიშვნა, მოულოდნელი საჩუქარი და სხვა, - დასაშვებია. ასეთი საიდუმლოები ბავშვისთვის სახიფათო არაა. ისინი ბავშვს არ ძაბავენ, არ აბნევენ, არ აშინებენ. სახიფათო საიდუმლოები კი ხშირად დამთრგუნველი და შემამფოთებელია ბავშვისთვის.
- დაარწმუნეთ ბავშვი, რომ სახიფათო საიდუმლო ყოველთვის გაგიზიაროთ თქვენ ან იმ ადამიანს, ვინც მას დაეხმარება.
- ბავშვთან ერთად ყოველთვის გაიხსენეთ სანდო მოზრდილთა სახელები. გახსოვდეთ, რომ რაც მეტი სანდო მოზრდილი ადამიანი (მასწავლებელი, ბებია, ბაბუა, მეგობარი, მეზობელი და სხვა) ეყოლება ბავშვს, ის მით უფრო დაცული იქნება.

## **გაკვივება უნდა იცოდეს**

- არავინ უნდა შეგეხოს სხეულის ინტიმურ (პირად) ადგილებზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სისუფთავის და ჯანმრთელობის შენარჩუნებაში გეხმარებიან; თუ ვინმე ასეთ ადგილებზე შეხებას მაინც შეეცდება, შენ უნდა უთხრა: “ნუ აკეთებ ამას”;
- ”შეხების შესახებ საიდუმლო” არ უნდა შეინახო.
- შენი სხეული მხოლოდ შენ გეკუთვნის;
- ყოველთვის, როცა შენ პრობლემები გაქვს, მნიშვნელობა არ აქვს, - ამ პრობლემების გეშინია თუ გესირცხვილება, - მე მოგიხმენ, დაგიჯერებ და დაგეხმარები.



### **ძალიან მნიშვნელოვანია**

ძალადობის არიდება შესაძლებელია! ბავშვს უსაფრთხოების წესები უნდა ვასწავლოთ, რომლებიც მას სიტუაციის სწორად შეფასებასა და რთულ სიტუაციაში მართებული გადაწყვეტილების მიღებაში დაეხმარება.

უსაფრთხოების წესების სწავლებისას ბავშვი უნდა დარწმუნდეს, რომ ჩვენ მასზე ვზრუნავთ და მის დასაცავად ყველაფერს ვაკეთებთ, მაგრამ ჩვენგან აუცილებელია ზომიერება, რათა არ დავაფრთხოთ, არ დავაშინოთ ბავშვი, არ მოვაკლოთ მას ურთიერთობის სიხარული.

**გვახსოვდეს, რომ ბავშვების უმეტესობა სექსუალური ძალადობის გამოცდილების გარეშე იზრდება.**

## რჩევები

ბვირფასო უფროსებო, შეეცადეთ არ დააფრთხოთ ბავშვი, მაგრამ მიაღწიეთ იმას, რომ მან კარგად დაიხსომოს შემდეგი წესები:

### ყველაზე პატარებისთვის


- მშობლების ნებართვის გარეშე არასდროს გამოართვა საჩუქრები (ტკბილეული, სათამაშო, სამკაული და სხვა.) უცნობ ადამიანებს.
- თუკი ვინმე მანქანით გასეირნებას ან სადმე წაყოლას გთავაზობს, აუცილებლად უთხარი მშობლებს.
- არასდროს გაპყვე და ჩაუჯდე მანქანაში უცხო ადამიანს.
- მთელი ხმით იყვირე, თუკი ვინმე შენს ძალით მანქანაში ჩასმას ან სადმე წაყვანას დააპირებს.
- დაიმასხოვრე შენი მისამართი და ტელეფონის ნომერი.
- არავის მისცე უფლება, რომ “პირად ადგილებზე” შეგეხოს. მაშინვე მოუყვიე უფროსებს, თუ ეს მოხდება.
- იცოდე, შენს მშობლებს უყვარხარ და ისინი სიმართლის თქმისთვის არასდროს დაგსჯიან.

### უმცროსკლასელებისთვის

- ყოველთვის შეატყობინე მშობლებს, სად მიდიხარ.
- მიყრუებულ ადგილზე არ წახვიდე, მეგობრებთან ერთადაც კი.
- უცნობებისგან საჩუქრები არ მიიღო.
- თუკი ვინმე სადმე გაყოლას გთავაზობს, ნებართვა უფროსებს სთხოვე.
- როცა მარტო იქნები, სახლის კარი არავის გაუღო.
- თუკი ვინმე მანქანიდან გეკითხება, როგორ მივიდეს რომელიმე ადგილამდე, - არ მიუახლოვდე და არავითარ შემთხვევაში არ ჩაჯდე მანქანაში.
- არავის აქვს უფლება, რომ პირად ადგილებზე შეგეხოს. თუ ვინმემ ამის გაკეთება მაინც სცადა, არ მოგერიდოს, რომ ეს მას უთხრა.
- თუ ვინმე შეგაშინებს, მაშინვე წადი უსაფრთხო ადგილზე, იქ, სადაც ბევრი ხალხია.
- ყოველთვის თქვი, რომ მშობლებისგან ნებართვა უნდა აიღო, როცა ვინმე სადმე გეპატიუება.


## მოზარდებისთვის

- სახლიდან არ გაიქცე! თუ შენთვის სახლში ყოფნა აუტანელია, დაელაპარაკე უფროსს, რომელსაც ენდობი. როგორც კი სახლიდან გაიქცევი, დიდი შანსია, რომ იმ ადამიანებს ჩაუვარდე ხელთ, რომლებიც შენს გამოყენებას შეეცდებიან ნარკობიზნესში, პორნოგრაფიაში ან პროსტიტუციაში.
- ძალიან ფრთხილად იყავი ადამიანებთან, რომლებიც მეგობრობას გთავაზობენ. გახსოვდეს, როცა თავს მარტოსულად და დათრგუნულად გრძნობ, შენ კარგი სამიზნე ხარ არამზადისთვის, რომელიც გპირდება, რომ შენზე იზრუნებს.
- არასდროს დათანხმდე, რომ უცნობმა ადამიანებმა ფოტო გადაგიღონ, თუნდაც ისინი გპირდებოდნენ, რომ საყოველთაოდ ცნობილს გაგხდიან და რომ ყველა ცნობილმა ადამიანმა ასე დაიწყო.
- არასდროს ჩაუჯდე მანქანაში უცხო ადამიანს.
- ყოველთვის შეატყობინე მშობლებს, სად აპირებ მეგობრებთან ერთად წასვლას და აცნობე, თუკი გეგმებს შეიცვლით.
- არავის აქვს უფლება, ინტიმურ ადგილებზე შენი ნებართვის გარეშე შეგეხოს. არ მოკერიდოს ამის თქმა იმ ადამიანისთვის, ვინც ამის გაკეთებას დააპირებს.
- ინტუიციას მიენდე. თუ გეშინია, ესე იგი, საამისო მიზეზებიც გაქვს.



## მშობლებისა და მეურვეებისთვის

- აიღეთ **პასუხისმგებლობა** – ბავშვის უსაფრთხოება თქვენ ხელთაა;
- **თავდაჯერებულობა განუმტკიცეთ** – ნაკლებად თავდაჯერებულ ბავშვებს თავდაცვაც ნაკლებად შეუძლიათ;
- **გადაწყვეტილების მიღების უნარი განუვითარეთ** – ნებისმიერი ასაკის ბავშვს უნდა შეეძლოს გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება. ამისათვის ის თავიდან მცირე, უმნიშვნელო გადაწყვეტილებების მიღებაზე უნდა ავარჯიშოთ და წახალისოთ, რათა მან შემდგომში სერიოზული გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება შეძლოს;
- **მხარდაჭერით უზრუნველჰყავით** – ბავშვებისათვის აუცილებელია, რომ ჩამოყალიბებული ჰქონდეთ პოზიტიურ მოზრდილთა როლური მოდელები და იცოდნენ, ვის შეიძლება მიმართონ დახმარებისათვის;
- **მომგვლი გულისყურით შეურჩიეთ** – ადამიანი, რომელთანაც ბავშვი თქვენ გარეშე რჩება, სანდო უნდა იყოს. ამიტომ სანამ მასზე არჩევანს გააკეთებდეთ, დაწვრილებით მოიძიეთ ინფორმაცია თქვენთვის საინტერესო საკითხების (ბავშვებთან ურთიერთობის გამოცდილება, ბავშვის აღზრდის მისეული პოზიცია, წარსული ცხოვრება და ა. შ.) შესახებ, დააკვირდით მის ქცევას, მეტყველებას, ემოციებს, პიროვნულ თვისებებს;
- **იზრუნეთ ბავშვის უსაფრთხოებაზე, როცა ის თქვენ გარეშე ან სახლში მარტო რჩება** – ბავშვთან ერთად განსაზღვრეთ მისი ქცევის წესები და მოვალეობები სახლში მარტო დარჩენის დროს, - სად დარეკოს, როგორ მოიქცეს გაუთვალისწინებელი გარემოებებისას. აუხსენით ბავშვს, რომ უსაფრთხოების წესების დაცვა უსაფრთხოების უზრუნველყოფაში გვეხმარება.



- **ესაუბრეთ ბავშვს ძალადობის შესახებ.** ერთად იმსჯელეთ ზოგადად ძალადობაზე, ტელევიზიით გადმოცემული ძალადობის შემთხვევებზე, უსაფრთხოების წესებზე, ბავშვთა უფლებებზე. ბავშვს ინფორმაცია მისთვის გასაგები, ასაკის შესაფერისი სიტყვებით მიაწოდეთ; შეკითხვების დასასმელად დრო მიეცით. წაახალისეთ ბავშვის სურვილი, - გაგიზიაროთ თავისი შიშები, რისხვა, დარდი;
- **ასწავლეთ ბავშვს “შეხების წესი”** – აუხსენით ბავშვს, რას ნიშნავს უსაფრთხოება და არაუსაფრთხო შეხება (უსაფრთხო შეხება კარგია ჩვენი სხეულისა და გრძნობებისათვის. ასეთი შეხება ეხმარება ადამიანს თავი სასურველად და დაცულად იგრძნოს; არაუსაფრთხო შეხება გულისხმობს შეხებას, რომელიც ჩვენი სხეულისა და გრძნობების ტრავმირებას იწვევს).
- **ხშირად აგრძნობინეთ და უთხარით ბავშვს: ”მე შენ მიყვარხარ”.** გამხნელება, მოფერება, კოცნა, ხელის გადახვევა, გულში ჩაკვრა, თავზე ხელის გადასმანებისმიერი ასაკის ბავშვს სჭირდება. ყველა ბავშვს უნდა, მშობლისგან გაიგონოს: ”მე შენით ვამაყობ”.

## **ბავშვს აქვს უფლება - ძალადობისგან თავისუფალი გაიზარდოს!**

**დაგატავითი ინფორმაციისთვის, კონსულტაციისა და დახმარებისთვის მოგვმართეთ:**

საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის და მედიცინის განვითარების ფონდის  
“თბილისის ბავშვთა დახმარების ცენტრი”

მისამართი: ედიშერ მალალაშვილის ქ. № 4  
ბინა 1;  
ტელ: (032) 2 421 422



116 111

ბავშვთა  
დახმარების  
საზი

“ბათუმის ბავშვთა დახმარების ცენტრი”

მისამართი: ტაბიძის ქ. № 2ა;  
ტელ: (0422) 225 830



